2. სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია
Social, Political and Cultural Psychology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

- **სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი / MSc in Social Psychology.**
- **პოლიტიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი / MSc in Political Psychology.**
- **კულტურული ფსიქოლოგიის მაგისტრი / MSc in Cultural Psychology.**

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: შალვა აბზიანიძე

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.

სოციალური ფსიქოლოგიის მოდულის აქტუალობა და მიზნები: პროგრამის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ ღრმა ცოდნა ფსიქოლოგიის ისეთ ფუნდამენტურ დარგში როგორიცაა - სოციალური ფსიქოლოგია. შეისწავლონ ადამიანის სოციალურ ბუნება, სოციალურ ფსიქოლოლოგიური ფენომენები, პიროვნების სოციალური მახასიათებლებისა და სოციალური გარემოს გავლენა ადამიანის ქცევაზე.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის მოდულის აქტუალობა და მიზნები: კურსის მიზანია, მოამზადოს მკვლევარი/პრაქტიკოსი, რომელსაც შეეძლება თავისი ცოდნის გამოყენება პოლიტიკაში ჩართულ პიროვნებებთან და ჯგუფებთან ურთიერთობაში, კერძოდ, უშუალოდ პოლიტიკურ პროცესებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება, წარდგენა, დასაბუთებული რეკომენდაციების გაცემა და კონსულტაციების გაწევა, შესაბამისი პირებისა და ორგანიზაციებისათვის. ასევე, სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

კულტურული ფსიქოლოგიის მოდულის აქტუალობა და მიზნები: კულტურული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანია სტუდენტებს მისცეს გაღრმავებული ცოდნა კულტურულ ფსიქოლოგიაში, მის კვლევის მეთოდებსა და მოსაზღვრე დარგებში, გამოუმუშაოს მკვლევარისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. აგრეთვე, სტუდენტმა შეასრულოს თეორიული და ემპირიული კვლევითი საქმიანობა და დაწეროს მაღალ დონეზე შესრულებული სამაგისტრო შრომა.

შედეგი: სოციალურ, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სრული კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული:

- უნდა ფლობდეს გაღრმავებულ თეორიულ ცოდნას სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფსიქოლოგიაში და მათ ცალკეულ ქვედარგებში;
- გაღრმავებულად უნდა ფლობდეს ფსიქოლოგიის შესაბამისი და მოსაზღვრე დარგების კვლევის, მონაცემების სტატისტიკური დამუშავების, შედეგების ანალიზის და პრეზენტაციის მეთოდებს;

- შეეძლოს მეცნიერული თუ პრაქტიკული კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება;
- უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნის გამოყენება სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებულ ან/და მულტიდისციპლინარულ კონტექსტში;
- უნდა გააჩნდეთ მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეეძლოს ლოგიკური და დასაბუთებული დასკვნების საჯარო წარდგენა, როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან;
- გააჩნდეთ სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარ-ჩვევები და მოტივაცია.

დასაქმება: კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა და კვლევითი საქმიანობა დოქტურანტურაში, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, შემდგომი კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის პერსპექტივით, ასევე იმუშაონ სახელმწიფო ორგანოებში, ანალიტიკურ ცენტრებში, პოლიტიკური პარტიების აპარატებში, მასმედიაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ყველგან სადაც ხდება სოციალური, პოლიტიკური, ეთნო-კულტურული ინფორმაციის შეგროვება, პროცესების ანალიზი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და მნიშვნელოვანია პიროვნული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად აუცილებელია სოციალურ ფსიქოლოგიაში წერითი და უცხო ენის გამოცდის წარმათებით ჩაბარება.

მისაღებ გამოცდაზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ:

1. სოციალურ მეცნიერებათა (ფსიქოლოგია) ან/და ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს.
2. კანდიდატებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ ან/და სტაჟირება აქვთ გავლილი ევროპის ან აშშ-ს უნივერსიტეტებში;
3. კანდიდატებს, რომლებსაც ფსიქოლოგიის ან/და სოციალურ მეცნიერებათა სფეროში გამოქვეყნებული აქვთ (დამოუკიდებლად ან თანაავტორობით) სამეცნიერო ნაშრომი;
4. კანდიდატს მოეთხოვება რუსული და ინგლისური ენების ცოდნა (B1 დონე).

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად აუცილებელი არ არის სამუშაო გამოცდილების ქონა (ე.ი. 2008 წელს კურსდამთავრებულს აქვს ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება);

სოციალურ ფსიქოლოგიაში მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის
ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

1. სოციალური ფსიქოლოგიის საგანი, მეთოდები და მეტოდოლოგია.
2. სოციალური პერცეპცია, არავერბალური მანიშნებლები და ინდივიდის მიერ ინდივიდის აღქმა.
3. სოციალური პერცეპცია: როგორ ვიგებთ ინდივიდის პიროვნულ თვისებებს და მოტივებს?
4. სოციალური კოგნიცია როგორ ვიგებთ სოციალურ სამყაროს? ძირიტადი კოგნიტური სტრატეგიები.
5. აფილაციის ცნება. განმსაზღვრელი ფაქტორები.
6. ინტერპერსონალური მიზიდვა (მოწონება). მისი განმსაზღვრელი ფაქტორები.
7. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ორმხრივი ემოციური ურთიერთობების (მეგობრობა, სიყვარული) ჩამოყალიბებას.
8. აგრესია. აგრესიის წყაროები.\
9. აგრესიის ინდივიდუალური დეტერმინანტები. მისი არიდება და კონტროლი.
10. ატიტუდის ცნება, მისი ბუნება და ჩამოყალიბების თეორიები.
11. დამარწმუნებელი კომუნიკაცია და ატიტუდის შეცვლა.
12. ატიტუდი და ქცევა.
13. სოციალური გავლენები: კონფორმულობა. აშისა და შერიფის ექსპერიმენტები. მათი ანალიზი.
14. სოციალური გავლენები: მიყოლა, როგორც სოციალური გავლენის ერთ-ერთი ფორმა.
15. სოციალური გავლენები: მორჩილება. მილგრემის ექსპერიმენტები. მისი ანალიზი.
16. პრეჯიდუსები და დისკრიმინაცია. რატომ ყალიბდება პრეჯიდუსი?
17. სექსიზმი, როგორც პრეჯიდუსების ერთ-ერთი ფორმა.
18. როგორ ვებრძოლოთ მიკერძოებას?
19. პროსოციალური ქცევა. მოწმის ეფექტი.
20. ემოციები, ატრიბუცია და ალტრუიზმი. ვინ ახორციელებს პროსოციალურ ქცევას?
21. სოციალური გაცვლა, თანამშრომლობა და კონკურენცია. პიროვნული ორიენტაცია და თანამშრომლობა.
22. მოლაპარაკება, სტრატეგიები და მასზე მომქმედი ფაქტორები.
23. სოციალური გაცვლა და სამართლიანობა.
24. ჯგუფის ცნება. ჯგუფის სტრუქტურა და ლიდერობა.
25. ჯგუფის დინამიკა.
26. კოორდინაცია ჯგუფში (თანამშრომლობა, კონფლიქტი, ჯგუფური გადაწყვეტილების მიღება).
27. კელის კაუზალური ატრიბუციის თეორია.
28. პროსოციალურ ქცევაზე რეაქცია.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

რ. ქვარცხავა სოციალური ფსიქოლოგია.